

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების
სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.ssa.gov.ge) საინფორმაციო
გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი
მონიტორინგი

2012 წლის 6 აპრილი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge


info@idfi.ge


საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების
სააგენტო

www.ssa.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები

ოფიციალური ვებ-გვერდის საინფორმაციო გამჭვირვალობა IDFI
პარამეტრების მიხედვით





საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:


➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სააგენტოს ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სააგენტოს დირექტორის კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე, მისი შემდეგი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

ამასთან, დირექტორის სახელი და გვარი, ფოტოსურათი და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები მოცემულია განყოფილებაში „სააგენტო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ განთავსებულ სტრუქტურულ ხეზე:





სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი

რამაზ სულამანიძე

დაბადების თარიღი: 1977 წ. 10 ოქტომბერი.

განათლება: 1994 - 1998 წწ. - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის ფაკულტეტი.

1998-2000 წწ. - ეკონომიკის ფაკულტეტის მაგისტრატურა, 2000-2002 წწ. ეკონომიკის ფაკულტეტის ასპირანტურა.

სამუშაო გამოცდილება: 1998-2000 წწ. - „პეიჯინგ-1“ მარკეტინგის მენეჯერი.

2004 წ. - ცენტრალური საარჩევნო კომისია.

31.09.2004-07.10.2004 წწ. - ქალაქ თბილისის მერია-მერის მთავარი მრჩეველი.

07.10.2004-10.11.2004 წწ. - გლდან-ჩაბალაძის რაიონის გამგებლის მოადგილე.

10.11.2004-23.03.2012 წწ. - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელი.

26.03.2012 წ. - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი.



უცხო ენების ცოდნა: რუსული (სრულყოფილად), ინგლისური (სამუშაოდ).

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული. ჰყავს მუდღე და ორი შვილი.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება, სათაურად „დირექტორი“, სადაც განთავსდებოდა დირექტორის შესახებ ყველა სახის შესაბამისი ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს დირექტორის მოადგილეთა უფლება-მოვალეობათა და ფუნქციების აღწერა, აგრეთვე, მისი შემდეგი საკონტაქტო რეკვიზიტები - - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

ამასთან, დირექტორის მოადგილეების სახელები და გვარები, ფოტოსურათები და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები მოცემულია განყოფილებაში „სააგენტო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ განთავსებულ სტრუქტურულ ხეზე:





დირექტორის მოადგილე

დავით დვალიძე

დაბადების თარიღი: 1980 წლის 20 დეკემბერი.**განათლება:** 1996-2003 წლები კრიტიკული მედიაციის ცენტრი. სამკურნალო ფაკულტეტი.**სამუშაო გამოცდილება:**

2003-2005 წწ.-ქ. თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფო.

2005-2006 წწ. -სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს პროგრამების მართვის სამსახურის სპეციალისტი.

2006-2007წწ.-სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს სოციალური პროგრამების სამმართველოს სამსახურის სპეციალისტი.

2007-2009 წწ.-სოციალური სუბსიდირების სააგენტოს საარსებო შემწეობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

2009-2010-სოციალური მომსახურების სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსი.

2010 წ. -სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური აპარატის ექსპრეს-კონსულტანტი.

2010 წლის 30 აგვისტოდან-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე.

უცხო ენების ცოდნა: რუსული (სრულყოფილად), ინგლისური (სამუშაოდ)**ოჯახური მდგომარეობა:** დაოჯახებული. 3ყავს მუდღე და ერთი შვილი.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-) განყოფილება სათაურად „მოადგილეები“, სადაც განთავსდებოდა მოადგილეების შესახებ ყველა სახის შესაბამისი ინფორმაცია.

2. მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სააგენტოს სრული სახელწოდება არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო“, ხოლო ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება:

სოციალური მომსახურების სააგენტო

3. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და სააგენტოს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), ვებ გვერდზე წარმოდგენილია მხოლოდ სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების - რეგიონალური და რაიონული განყოფილებების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

აგრეთვე, არ მოიძიება სააგენტოს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. განყოფილებაში „კონტაქტი“ არ არის წარმოდგენილი სააგენტოს ფაქსის ნომერი:



6. მთავარ გვერდზე სასურველია მოიძიებოდეს სააგენტოს ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასახელება:



7. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სააგენტოს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია, აგრეთვე, არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება.

8. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სააგენტო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ მოცემულია საკმაოდ მწირი ინფორმაცია სააგენტოს მიზნების შესახებ. სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში ან შესაქმნელ ქვე-განყოფილებაში სათაურად „სააგენტოს ფუნქციები“ განთავსდეს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სააგენტოს მიზნების, ფუნქციების, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის პრინციპების დეტალური აღწერა:

ჩვენი შესახებ

სოციალური მომსახურების სააგენტო ადმინისტრირებას უწევს რამდენიმე ათეულ სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას. სააგენტო მრავალმილიონიანი ხარჯების განმკარგავი სამსახურია, რომელიც მიმართულია მრავალფეროვანი, მომსახურებისა თუ დახმარების საჭიროების მქონე კონტინგენტის - ბენეფიციართა - სოციალური გასაცემლებით, ჯანდაცვისა და სოციალური სახელმწიფო პროგრამებით მაქსიმალური უზრუნველყოფისკენ. სახელმწიფო პენსია, სოციალური დახმარება, ჯანმრთელობის დაზღვევა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა სათანადო უზრუნველყოფა, მზრუნველობამოკლებული ბავშვების მეურვეობა-მზრუნველობა და სხვა ის საკითხებია, რომლის ფარგლებშიც სააგენტოში დასაქმებული 2000-ზე მეტი თანამშრომელი დაახლოებით 2,5 მილიონ საქართველოს მოქალაქეს (საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 60 პროცენტი) ემსახურება.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები 68 მისამართზეა განთავსებული. იგი ყოველთვიურად უწევს შესაბამის მომსახურებას საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის თითქმის მესამედს. სააგენტო საქართველოს მოქალაქეთა 25%-ზე მეტს უზრუნველყოფს უფასო სამედიცინო დაზღვევით, რაც სახელმწიფო დაფინანსებით ბენეფიციართა სრულყოფილ სამედიცინო მომსახურებას ნიშნავს. სოციალური მომსახურების სააგენტო ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოა, რომელიც მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს სხვადასხვა პრივილეგიებს, შეღავათებსა და საჭირო მომსახურებებს სთავაზობს, მათი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ძირითადი მიზანი მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენის მხარდაჭერა, მოქალაქეთათვის გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლება, სერვისების დახვეწა, უფრო მოქნილ, მარტივ და სწრაფ, მოსახლეობისათვის ადგილად ხელმისაწვდომ მექანიზმებზე გადაყვანაა.

მთავარია, თითოეულმა მოქალაქემ თავი ღირსეულად იგრძნოს და მიიღოს სამართლიანი უზრუნველყოფა.


➤ საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:


- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციათა აღწერა და მათი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სააგენტო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ წარმოდგენილ სტრუქტურულ ხეზე მოცემულია სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების უფროსების მხოლოდ სახელები და გვარები და ფოტოსურათები.


ამასთან ადმინისტრაციის უფროსის შესახებ ინფორმაციიდან მოცემულია მხოლოდ სახელი და გვარი:



აგრეთვე, სამედიცინო დაზღვევისა და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტში შემავალი - მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის მართვის სამმართველოს ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაციიდან წარმოდგენილია მხოლოდ სახელი და გვარი:



არ არის წარმოდგენილი საინფორმაციო ბანკის მართვისა და სტატისტიკური ანალიზის დეპარტამენტში შემავალი - საინფორმაციო ბანკის სამმართველოს უფროსისა და ამავე ერთეულში შემავალი სტატისტიკური ანალიზის სამმართველოს უფროსის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია:



სააგენტოს მონაცემთა ბაზებში დაცული ინფორმაციის სტატისტიკურ დამუშავებას და ამ ინფორმაციის შემდგომ გამოყენებას.

<< უკან

ამასთანავე, არ არის წარმოდგენილი ეკონომიკურ დეპარტამენტში შემავალი სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია:

<< უკან

- არ მოძიება სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;
- სასურველია აქვე მოიძიებოდეს სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების მოქმედი დებულებები.

აგრეთვე, ხსენებულ სტრუქტურულ ხეზე დირექტორის აპარატის უფროსის შესახებ ინფორმაციიდან წარმოდგენილია მხოლოდ სახელი და გვარი და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები - სასურველია, განთავსდეს აგრეთვე, მისი ფოტოსურათი, კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

მაკარ მაკარიძე

დირექტორის აპარატის უფროსი

დაბადების თარიღი: 1976 წლის 02 დეკემბერი.

განათლება: 1994-1999 წწ.- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ინჟინერ-ტექნოლოგი. ბაკალავრის ხარისხი.

2006-2008 წწ.- შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი. მაგისტრის ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება: 2001-2004 წწ.- კავშირი „ამარტა“, მარკეტინგისა და რეალიზაციის მენეჯერი.

2004-2005 წწ.- ქალაქ თბილისის მერია. დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობა, აპარატის უფროსი.

2005-2009 წწ.- ქალაქ თბილისის მერია. ქონების მართვის საქალაქო სამსახური. შპს „უმრავი ქონება-დიდუბე“. დირექტორი.

2009-2010 წწ.- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ასოციაციის, განყოფილების უფროსი.

2010-2011 წწ.- ქალაქ თბილისის მერია. დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობა, მრჩეველი.

2011-2012 წწ.- ქალაქ თბილისის მერია. დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების განყოფილების უფროსი.

2012 წ.-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის აპარატის უფროსი.

უცხო ენების ცოდნა: რუსული (კარგად), ინგლისური (საშუალოდ)

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული. 3ყავს მეუღლე და ერთი შვილი.

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების შესახებ შემდეგი სახის სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა;
- სრული სახით არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სააგენტო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ტერიტორიული სამსახურები“ წარმოდგენილია ხელმძღვანელების მხოლოდ სახელები და გვარები;

სააგენტო	კანონმდებლობა
❶ ჩვენ შესახებ	
❷ სტრუქტურა	
❸ დებულება	
❹ ტერიტორიული სამსახურები	
❺ პუბლიკაციები	
❻ გალერეა	
❼ კლიპები	
❽ სასარგებლო ბმულები	
❾ ვაკანსიები	

გურჯაანი

Like 1

გურჯაანის რაიონული განყოფილება

განყოფილების უფროსი: ლეილა მურაკაშვილი;

მისამართი: ქ. გურჯაანი, წონეშვილის ქ. №17;

ტელ: (8 356) 22 25 20;



რაიონის სტატისტიკური მონაცემები

მოსახლეობის რაოდენობა - 69,900

სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობა - 14,825

საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა - 11,547

სახელმწიფო დაზღვევითი მოსარგებლე პირები - 21,515

ლაგოდეხის რაიონული განყოფილება

განყოფილების უფროსი: თამაზ კაკიაშვილი;

მისამართი: ქ. ლაგოდეხი, თავისუფლების ქ. №11;

ტელ: (8 354) 22 26 03; (8 354) 22 38 03;



რაიონის სტატისტიკური მონაცემები

მოსახლეობის რაოდენობა - 51,900

სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობა - 9,142

საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა - 6,023

სახელმწიფო დაზღვევით მოსარგებლე პირები - 11,165

შესაბამისად, არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეთა) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების საფოსტო მისამართები ანუ საფოსტო ინდექსზე მითითებები (მოცემულია მხოლოდ თბილისის ცენტრალური ოფისის საფოსტო მისამართი) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი რუკები;
- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების ელექტრონული ფოსტის მისამართები და ფაქსის ნომრები; განყოფილებაში სათაურად „სააგენტო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ტერიტორიული სამსახურები“ მოცემულია მხოლოდ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;

ზესტაფონი

Like 2

ზესტაფონის რაიონული განყოფილება

განყოფილების უფროსი: გიორგი ჩუბინიძე;

მისამართი: ქ. ზესტაფონი, გ. რობაქიძის ქ. №5;

ტელ: (8 492) 25 29 59;



რაიონის სტატისტიკური მონაცემები

მოსახლეობის რაოდენობა - 75,700

სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობა - 15,410

საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა - 7,531

სახელმწიფო დაზღვევით მოსარგებლე პირები - 16,502

ბაღდათი

Like 1

ბაღდათის რაიონული განყოფილება

განყოფილების უფროსი: ემელიანე ლომიძე;

მისამართი: ქ. ბაღდათი, წერეთელის ქ. №9;

ტელ: (8 434) 22 28 67;



რაიონის სტატისტიკური მონაცემები

მოსახლეობის რაოდენობა - 28,800

სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობა - 7,236

საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა - 5,912

სახელმწიფო დაზღვევით მოსარგებლე პირები - 10,578

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სათათბირო ორგანოების შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სააგენტოს სათათბირო ორგანოების - მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონალური საბჭოების ჩამონათვალი;
- არ მოიძიება სააგენტოს სათათბირო ორგანოების - მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონალური საბჭოების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;

- არ მოდიება სააგენტოს სათათბირო ორგანოების - მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონალური საბჭოების სტრუქტურა და შემადგენლობა;
- არ მოდიება სააგენტოს სათათბირო ორგანოების - მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონალური საბჭოების ოქმები (საოქმო ჩანაწერები) და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები).

➤ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

12. სააგენტოს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს ტენდერების შესაბამისი (ქვე-)განყოფილება), ადმინისტრაციული ხელშეკრულებების მონაცემთა ბაზა, სააგენტოს საქმიანობის ამსახველი წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშების არქივი, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლების მონაცემთა ბაზა და ა.შ.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული განყოფილებაში სათაურად „სააგენტო“ არსებული ქვე-განყოფილება „ვაკანსიები“ ცარიელია:

სააგენტო	კანონმდებლობა
ჩვენ შესახებ	
სტრუქტურა	
დებულება	
ტერიტორიული სამსახურები	
პუბლიკაციები	
გალერეა	
კლიპები	
სასარგებლო ბმულები	
ვაკანსიები	




- ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

13. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ არანაირი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება სააგენტოს დირექტორის მოადგილეების გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მათი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში.

ამასთან, სააგენტოს შესახებ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვები/ახალი ამბების არქივი განთავსებულია მხოლოდ ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე, რა გვერდსაც არ აქვს წვდომა ვებ-გვერდის სხვა გვერდებთან, განყოფილებებთან და ქვე-განყოფილებებთან:



სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება სათაურად „ახალი ამბები“ სადაც განთავსდება შესაბამისი ინფორმაცია.

14. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიშები“, სადაც განთავსდებოდა სააგენტოს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული საქმიანობის ყოველწლიური და მიმდინარე/კვარტალური ანგარიშები.

სააგენტოს გაწეული წლიური (2010 და 2011 წლის) სამუშაოს ზოგადი აღწერა მოცემულია მხოლოდ ვებ-გვერდზე წარმოდგენილ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვებში:





სოციალური მომსახურების სააგენტომ 2010 წელს გაწეული მომსახურების ანგარიში წარადგინა

თარიღი: 11 ნოემბერი, 2011

[Tweet](#) 0

[Like](#)



2011 წლის 11 ნოემბერს სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა, ირაკლი ნადარეიშვილმა, სააგენტოს სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ძველი თბილისი-დიდგორის სოციალური მომსახურების ცენტრში 2010 წლის განმავლობაში სააგენტოს მიერ გაწეული სამუშაოს ანგარიში წარადგინა. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძე.

2010 წლის 11 ნოემბერს სოციალური მომსახურების სააგენტოს ბიუჯეტმა 1 497,9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც, 2009 წელთან შედარებით, 60,3 მილიონი ლარით იყო გაზრდილი (4,2%).

სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის ბიუჯეტის ზრდა, 2010 წელთან შედარებით, კიდევ უფრო მაღალია—80.9 მილიონი ლარი (5,4%).

2010 წლის განმავლობაში საქართველოში სოციალური პროგრამების დაფინანსებისათვის, გარდა სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამებისა, 1 295,0 მილიონი ლარი დაიხარჯა. ამ თანხიდან სახელმწიფო პენსიებმა, სახელმწიფო კომპენსაციებმა და სახელმწიფო აკადემიურმა სტიპენდიებმა 891.2 მილიონი ლარი შეადგინა, სოციალური დახმარების პროგრამებმა – 157.9 მილიონი ლარი, დევნილთა და ლტოლვილთა შემწეობამ – 68.7 მილიონი ლარი, სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაზე გაწეულმა ხარჯებმა – 141.6 მილიონი ლარი. სხვა სოციალური პროგრამებისათვის 35.6 მილიონი ლარი დაიხარჯა.

2010 წლის ბოლოსათვის, საქართველოში სახელმწიფო პენსიის მიმღები იყო 835.9 ათასი მოქალაქე, მათგან: 665.2 ათასი – ასაკით პენსიონერი, 138.6 ათასი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ხოლო 32.1 ათასი – მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი.

2010 წლის ბოლოსათვის, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იყო 545.6 ათასი ოჯახი (1 773.3 ათასი პირი), რაც ქვეყანაში მოსახლეობის 40 პროცენტს შეადგენს. წლის ბოლოსათვის სახელმწიფოს მხრიდან საარსებო შემწეობას იღებდა 144.9 ათასი ოჯახი (408.4 ათასი პირი). ამ პერიოდისათვის ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ჩართული იყო 901.3 ათასი პირი. მათ შორის, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული შშმ პირებთან, ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დაზღვეული იყო მოსახლეობის 79.7 პროცენტი (105 ათასი პირი), ეს მაჩვენებელი ქვეყანაში შშმ პირების (ამ წიშით პენსიის მიმღები მოსახლეობის) 60 პროცენტზე მეტია.

გასული პერიოდის განმავლობაში ჩატარებული კვლევებიდან ცნობილია, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაზე დაფუძნებული მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამები ხასიათდება მისამართულობის მაღალი მაჩვენებლით. გარდა ამისა, 2009 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემთა ბაზის ანალიზის საფუძველზე, დადგინდა, რომ ქვეყანაში უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი (უკიდურესი სიღარიბის ზღვარი 52,7 ლარი) გამოკვლევის პერიოდისათვის 6.2 პროცენტს შეადგენდა.

15. სასურველია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებებში სათაურად „სოციალური პროგრამები“ და „ჯანდაცვის პროგრამები“ განთავსდეს აგრეთვე პროგრამების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები და ცნობები პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ:



16. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენი პროექტები“ სასურველია, აგრეთვე, მოცემული იყოს პროექტების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები:

ჩვენი პროექტები

Like 22

სოციალური ბიუჯეტის მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარების პროექტი

ქუჩის ბავშვები

ჩემი მეგობარი

პროფესიული გადამზადება / გაძლიერება

დამამთავრებელ კურსზე მყოფი სტუდენტების სტაჟირება

მობილური ზრუნვა

➤ სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა

17. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებას სათაურად „კანონმდებლობა“ სასუველია გადაერქვას სახელწოდება და ეწოდოს „სამართლებრივი აქტები“. ამასთან, განყოფილებაში „კანონმდებლობა“ განთავსებული ზოგიერთი სამართლებრივი აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით - სასურველია უკლებლივ ყველა სამართლებრივი აქტი ვებ-გვერდზე მოცემული იყოს უახლესი მდგომარეობით:

კანონმდებლობა სტატისტიკა

● საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

● საკანონმდებლო ნორმატიული აქტები

● კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

სასურველია მოცემულ განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე, სააგენტოს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები; აგრეთვე, სააგენტოს დირექტორის მიერ

გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები, მათ შორის (თავისი კომპეტენციის ფარგლებში მომზადებული, მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტები; კომპეტენციის ფარგლებში შემუშავებული, სააგენტოს საქმიანობისათვის საჭირო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები; მოადგილეებს შორის უფლება-მოსილებებსა და ფუნქციების განმსაზღვრელი ბრძანება; სამინისტროსთან შეთანხმებით დამტკიცებული სააგენტოს სახელფასო ფონდი და სამტატო ნუსხა; საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ ხარჯები; სათათბირო ორგანოების (კომისიებისა და საბჭოების) უფლებამოსილებებისა და შემადგენლობის განმსაზღვრელი ბრძანება; სააგენტოს თანამშრომელთა რაოდენობის განმსაზღვრელი ბრძანება);

ამასთან, სააგენტოს მოქმედი შინაგანაწესი სასურველია მოიძიებოდეს განცალკევებულ (ქვე-) განყოფილებაში.

სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
 - საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
 - საქართველოს კანონი „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
 - საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“;
 - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
 - საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N 249 დადგენილება „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;
 - საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.
- საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვით მიმოხილვა.

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სააგენტოში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

20. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სააგენტოსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სააგენტოსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.


21. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები“, სადაც განთავსდება სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/shesyidvebi_jandacvasoc.momsaxureba.pdf).

➤ საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა

22. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს ქვე-განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, თუმცა მისი შიგთავსი ცარიელია:



სასურველია, აღნიშნულ ქვეგანყოფილებაში განთავსდეს ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სააგენტოს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

➤ საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)

23. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი ინფორმაცია:

- განცალკევებით არ მოიძიება სააგენტოსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;


- განცალკევებით არ მოიძიება სააგენტოს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის (საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია;
- განცალკევებით არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- განცალკევებით არ მოიძიება სააგენტოს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/jandacvasoc.momsaxureba_premiebi.pdf);

- განცალკევებით არ მოიძიება სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური;
- განცალკევებით არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სააგენტოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.


ზემოთ ხსენებული ინფორმაცია შესაძლებელია განთავსდეს შესაქმნელ განყოფილებაში (ბანერში) სათაურად „ფინანსური მონაცემები“.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:



ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი


■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე




➤ ნავიგაცია

ვებ-გვერდის „მთავარი გვერდი“ და „საკონტაქტო გვერდი“ უნდა იყოს მთავარი მენიუს ზოლშიც, რადგან მომხმარებელისთვის ძირითადად უკვე ნაცნობია აღნიშნულ განლაგებასთან.

ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმი ამჟამად ვებ-გვერდზე არ არის დაკმაყოფილებული:




ვებ-გვერდის რუკა არსებობს იმისთვის, რომ მომხმარებელმა სწრაფად მოიძიოს სასურველი კატეგორია ან სერვისი. თუმცა, ვებ-გვერდზე www.ssa.gov.ge, რუკის არსებობის აზრი მომხმარებლისთვის იკარგება, რადგან იგი საკმაოდ დიდია. მაგ:



საჭიროა მისი სხვა გზით განლაგება და ოპტიმიზაცია;

➤ ძიება

ძიების მოდულში ქართული ფონტი (უნიკოდი) არ იკრიფება ავტომატურ რეჟიმში. მაგ:



ძიების მოდული დასახვეწია. ძიების შედეგებში საკვანძო სიტყვა უნდა იყოს გამოყოფილი, ამგვარად მომხმარებელი ადვილად ეძებს სასურველ ინფორმაციას. ვებ-გვერდზე ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმი არ არის დაკმაყოფილებული:

ნაპოვნია 23 შედეგი

სოციალური მომსახურების სააგენტომ 2010 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში წარადგინა
2011 წლის 11 ნოემბერს სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა, ირაკლი ნადარეიშვილმა, სააგენტოს სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, მველი თბილისი-დიდგორის სოციალური მომსახურების ცენტრში 2010 წლის განმავლობაში სააგენტოს მიერ გაწეული სამუშაოს ანგარიში წარადგინა.

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა
სოციალური მომსახურების სააგენტომ, მომდინარე წლის პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მოაწყო მზრუნველობამოკლებული ბავშვების ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა - გაყიდვა. აქცია ქ. თბილისში, „ექსპო-ჯორჯიას“ მე-ნ პავილიონში გაიმართა

სადაზღვევო პოლისებს დარიგების წესი იცვლება
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 ივნისის „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის

კანონმდებლობა

ბოლნისში სოციალური მომსახურების სააგენტოს ახალი ოფისი გაიხსნა
2012 წლის 27 მარტს, ქალაქ ბოლნისში, სოციალური მომსახურების სააგენტოს ახალი ოფისი გაიხსნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი ნადარეიშვილი და სოციალური მომსახურების სააგენტოს იურიდიული რამაზ სოლომანიძე.

➤ საკონტაქტო ფორმები და წესები

ვებ-გვერდის საკონტაქტო ფორმას უნდა ჰქონდეს Captch - დამცავი კოდი, რათა საჯარო დაწესებულების თანამშრომლების ელ.ფოსტები და სერვერი დაცული იყოს შემოტევებისგან (სპამისგან). მაგ:

ყურადღება: ვებ-გვერდის მეშვეობით გამოგზავნილი წერილი ატარებს საინფორმაციო ხასიათს, შესაბამისად მასზე გაცემული პასუხი ვერ იქნება იურიდიული ძალის მატარებელი

გაუგზავნე წერილი info ▼

სახელი და გვარი* ელ.ფოსტა*


შეტყობინება*

არ მომწონს – 0 ხმა
0%

➤ ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან


ვებ-გვერდზე არსებობს კონტენტის შეფასების საშუალება. ამასთან ერთად უნდა იყოს კონტენტის გაზიარების საშუალება სხვადასხვა სოციალურ ქსელებში.

ამჟამად კონტენტი ფასდება მხოლოდ სოციალურ ქსელ Facebook-ში. მაგ:



➤ უსაფრთხოება

ვებ-გვერდზე აღმოჩენილია ძალიან მნიშვნელოვანი ხარვეზი (XSS BUG). მაგ:




ჩვენ სპეციალურად არ ვწერთ დეტალურად აღნიშნული ხარვეზის შესახებ, თუმცა სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით სრულ ანაღოზს;

➤ დამატებითი პარამეტრები

საბეჭდი ვერსია ვებ-გვერდს არ აქვს, მას გააჩნია მხოლოდ ბეჭდვის ფუნქცია.

მაგ:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე გამოსასწორებელია სამიეზო სისტემა, ასევე ვებ-გვერდს პრობლემები აქვს უსაფრთხოების კუთხით, აღმოჩენილი ხარვეზი საკმაოდ ხშირად გამოიყენება და საკმაოდ სახიფათოა საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდისთვის. ხარვეზების გარდა ვებ-გვერდზე შესაქმნელია ელექტრონული ჩართულობის მოდულები, რომლებიც მომხმარებელს მისცემს საშუალებას მეტად ჩაერთოს სხვადასხვა გამოკითხვებში, დააფიქსიროს საკუთარი აზრი, წამოაყენოს სხვადასხვა ინიციატივა და ა.შ.